



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #119/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ ბეკოშვილი (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე, სადაც მოსარჩელის დაცვის ქვეშ მყოფი პირი არ ესწრებოდა, მოსარჩელის მიმართ გამოიყენა შემდეგი ფრაზები, კერძოდ, შორისდებულები „ოჰოჰოჰო“ და წინადადება - „თქვენ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის საწინააღმდეგოდ იქცევით“. მოსარჩელის განმარტებით, ადვოკატმა მის მიმართ გამოიყენა პატივისა და ღირსების შემლახველი სიტყვები, რითიც ეჭვის ქვეშ დააყენა მისი საქმიანი რეპუტაცია და შედეგად გამოიწვია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში მის მიმართ მისი კლიენტის ნდობის დაკარგვა.

სამართლებრივი შეფასება:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა და მოითხოვა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრა და მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ შინაარსობრივად შეაფასა სადავო ფრაზები და მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვა „ოჰოჰოჰო“ არ ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ სტანდარტებს, ზნეობრივ და მორალურ კრიტერიუმებს. ხოლო ფრაზა - „თქვენ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის საწინააღმდეგოდ იქცევით“, წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის დაფიქსირებას. ის არ არღვევს აზრის გამოხატვისთვის დასაშვებ საზღვარს, ვინაიდან არ არის უხამსი ან ძალადობრივი ენით გადმოცემული. შესაბამისად, სადავო ფრაზა არ არის არაეთიკური და მის გაჟღერებას არ შეეძლო კოლეგა ადვოკატის ღირსებისა და პატივის შელახვა. ასევე, აღნიშნული ფრაზა ვერ მოახდენდა პირდაპირ და უშუალო გავლენას ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობასა და მათ შორის არსებულ ნდობაზე, ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდა მოსარჩელის დაცვის ქვეშ მყოფი.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატის მიმართ არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

¹ <https://gba.ge/pdf/5e4a394cd9ed1.pdf/119.19%20ar%20agdzvra%2021.11.2019.pdf>